ახალი საარქივო მასალა ვაჟა-ფშაველას ოჯახური ბიოგრაფიისათვის



ამ წერილის პოპულარული ვერსია დაიბეჭდა ლიტერატურულ ჟურნალში "ზედაშე", 2006 წ. #3, გვ. 66-70.

 დიდი პოეტი და მოაზროვნე ვაჟა-ფშაველა სიამაყით აცხადებდა: "მე ვარ ფშაველი ჩამომავლობით, როგორც დედით, ისე მამით" [1] . სწორედ ვაჟას უშუალო წინაპრის, მისი მამის შესახებ მიკვლეული ახალი საარქივო მასალა გვინდა წარმოვადგინოთ. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის ფონდზე (#488) მუშაობისას მივაკვლიეთ საქმეს, რომელიც ვაჟას მამას - პავლე რაზიკაშვილს შეეხება და დღემდე, მკვლევართათვის უცნობი იყო.

პავლე რაზიკაშვილზე ის ვიცით, რაც თვითონ, დაუმთავრებელ ავტობიოგრაფიაში დაგვიტოვა [2] . ან რასაც ვაჟა და სხვა მისი შვილები, თუ ნაცნობ-მეგობრები იგონებენ მასზე [3] .

პავლეს არსად უსწავლია, წერა-კითხვა თავისით, დიდი მონდომებისა და ჯიუტობის წყალობით შეისწავლა, რადგან მამამისი გივი, წიგნის კითხვას, კაცისათვის სამარცხვინოდ და "ეშმაკის საქმედ" მიიჩნევდა. პავლემ მაინც თავისი გაიტანა და სოფლის მღვდლისაგან წერა-კითხვა შეისწავლა, რომ არა პავლეს ეს დაჟინება, ვინ იცის ეყოლებოდა კი ქართველ ერს დიდი ვაჟა-ფშაველა, რადგან მამის ზოგადი განათლება, წიგნის სიყვარული და ფოლკლორის ცოდნა, უთუოდ გენეტიკურად გადავიდა დიდ პოეტში. გივისგან განსხვავებით, პავლე სულ ამას ჩასჩიჩინებდა შვილებს: "ისწავლეთ, თქვენი გულისთვის ვიწვი და ვიდაგები... შვილებს არაფერი დამიკლდეს, უსწავლელები არ დამრჩეს"-ო [4] . ვაჟას მოგონების მიხედვით, მამამისმა ქართული კლასიკაც იცოდა და საქართველოს ისტორიაც. პავლე შვილებს საინტერესოდ უყვებოდა თურმე ქართველთა საგმირო და სარაინდო ამბებს.

რაც შეეხება პავლეს სასულიერო წოდებაში ჩარიცხვას, ამის შესახებ, კვლავ მხოლოდ მოგონებებიდან არის ცნობილი. ამიტომ, ცნობები მოკლე და ხშირად სიზუსტეს მოკლებულია. მაგალითად, გიგი ხორნაულის ახლახან გამოსულ საინტერესო მონოგრაფიაში ვაჟა-ფშაველას შესახებ, პავლეს ამ პერიოდის ბიოგრაფიას სულ ორიოდე წინადადება ეთმობა და ის ცნობებიც, რაც მოტანილია მისი სამღვდელო წოდებაში ჩარიცხვის შესახებ, ზუსტი არ არის [5] . ასევე, სრული გაუგებრობაა ამავე წიგნში მოტანილი ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს 1843 წელს "პავლე რაზიკაშვილი ჩარგლის ეკლესიის პრიჩეტნიკი" ყოფილა (დასახ. წიგნი, გვ. 13). ჯერ ერთი, ავტორის აზრით, პავლე 1831 წ. იყო დაბადებული და ამგვარად, 1843 წელს იგი მხოლოდ 12 წლის იქნებოდა, რაც მის მედავითნობას გამორიცხავს. ამას გარდა, როგორც ქვემოთ დოკუმენტური მასალიდან დავინახავთ, პავლე რაზიკაშვილი, ყვარას ეკლესიის (და არა ჩარგლის) მედავითნის მოვალეობის აღმასრულებლად მხოლოდ 1853 წ. ნოემბერში დაინიშნა.

ქვემოთ წარმოვადგენთ ყველა საბუთს, იმ თანმიმდევრობით, როგორც ისინი დაცულია საარქივო ფონდში.

პირველი, დოკუმენტებს შორის, არის ფშავის ბლაღოჩინის (კეთილმოწესის) ცისკაროვის (ცისკარიშვილის) შუამდგომლობა საქართველოს ეგზარქოსის ისიდორეს სახელზე.

«Его Высокопреосвященству, святейшего правительствующего Синода члену, Высокопреосвященнейшему Исидору, Архиепископу Карталинскому и Кахетинскому Экзарху Грузии и Кавалеру.
Благочинного священника Цискарова
Рапорт

Житель сел. Чаргали из Пшавцев - Павел Разикашвили, образовав себя изучением церковных книг на Грузинском языке у Пшавских священников, в состоянии свободно читать Часослов и Псалтырь, равно петь на обедни и других священнослужениях, почему, имея ревностное желание быть служителем Церкви, просит у Вашего Высокопреосвященства моего ходатайства допустить его исправлению причетнической должности в Кварском Пшавском приходе по случаю открывшейся причетнической вакансии.

Я, видя его, Разикашвили усердие к церкви и ревностное старание уменьшить между своими [6] соседями суеверие происходящее от деканозов, в коренением в них [13] правил истинной веры, принимаю смелость предоставить Вашему Высокопреосвященству его, Разикашвили на Архипастырское Ваше Благословление.

Благочинный священник - Цискаров. №202, 20 ноября 1853 г. сел. Тионети» [7] .

ეს არის პირველი დოკუმენტი, რომელმაც პავლეს სასულიერო წოდებაში ჩარიცხვის მცდელობა დააფიქსირა. ფშავის კეთილმოწესე (ბლაღოჩინი) ცისკარიშვილი, სითამამეს იჩენს და პირადად იმდროინდელ ეგზარქოს ისიდორეს (ნიკოლსკი, 1844-1858) სთხოვს, თვითგანათლებული ფშაველი კაცი მედავითნედ დანიშნოს სოფელ ყვარას ეკლესიაში. ეგზარქოს ისიდორეს შესახებ, სხვა ეგზარქოსებთან შედარებით, კარგი მოგონებებია შემორჩენილი. თავის ცნობილ წიგნში "ბურებთან", ნიკო ბაგრატიონიც კეთილი სიტყვით ახსენებს მას. განსაკუთრებით დიდი წვლილი დასდო ისიდორემ ქართული ეკლესიის მოჭირნახულე მიხეილ საბინინს მაშინ, როდესაც ის უკვე ღრმად მოხუცი, საქართველოდან პეტერბურგის მიტროპოლიტად გადაიყვანეს. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც, ისიდორემ კეთილი ნება გამოიჩინა და პავლე რაზიკაშვილს, რომელსაც არანაირი ოფიციალური განათლება არ ჰქონდა მიღებული, ნება დართო აღესრულებინა მედავითნის თანამდებობა ყვარას ეკლესიაში. ყვარა, იორის ზედა წელზე, ერწოში მდებარეობდა, მაგრამ იქ ფშავლები იყვნენ ჩასახლებულნი (მათ შორის, ვაჟას დედის - ფხიკლეშვილის გვარიც სახლობდა). ყვარა მხოლოდ XX ს. 40-იან წლებში გაქრა საქართველოს რუკიდან [8] .

მართალია, მედავითნობა ("причестничество") დიდი არაფერი თანამდებობაა, მაგრამ იგი უკვე სასულიერო წოდების დაბალი საფეხურია. თანაც, ამ თანამდებობის აღსრულებასაც ხომ თავისი წესი და რიგი აქვს. მით უფრო, სუპერბიუროკრატიულ რუსეთში. ე. ი. ეგზარქოსი მხოლოდ ცისკარიშვილის სიტყვას უნდა დანდობოდა, რომ პავლემ თვით ისწავლა ჟამნისა ("часослов") და ფსალმუნის ("пластырь") კითხვა, წირვის ("обедня") აღსრულება და ა. შ. ამასთან, ცისკარიშვილი პავლეს ახასიათებდა, როგორც ცრუმორწმუნეობის და ე. წ. მთიელი "დეკანოზების" წინააღმდეგ მედგარ მებრძოლს და ხალხში ნამდვილი რწმენის დამნერგავ პიროვნებას.

ამ "რაპორტს" მოსდევს თვით პავლეს განცხადება (რუსულ ენაზე), ეგზარქოს ისიდორეს სახელზე:

«Гогричского [9] общества, селения Чаргали Пшавца
Павла Разикашвили
Прошение

С малолетства моего, имея в душе ревность и усердие к нашей церкви и любовь к службе ее, исправляемой священнослужителями, возгорелось во мне желание удостоиться когда-нибудь быть служителем ее. Для сего

пожертвовав труды к образованию себя Священным Писанием [10] , изучился чтением и пением церковных книг у Пшавских священников, почему и могу свободно читать и петь в церкви. Посему осмеливаюь покорнейше просить Ваше Высокопреосвященство удостоить меня Архипастырского Вашего внимания, соблаговолить назначить меня исправляющим должность причетника в Кварском Пшавском приходе, где ныне имеется праздная причетническая вакансия. პავლე რაზიკაშვილი, 1853. 22 ноября»[11] .

ამ განცხადებას ის მოჰყვა, რომ ეგზარქოსმა, გამოსაცდელად, პავლე რაზიკაშვილი თბილისელ ბლაღოჩინს - დეკანოზ იოანე ბახსაროვს გაუგზავნა (იგი მოგვიანებით, თბილისის მეტეხის ტაძრის მოძღვარი გახდა). აი მისი დასკვნა პავლეს საეკლესიო განათლების შესახებ:

«Благочинному Цискарову, 28 Ноября №3418
20-го ноября 1853 года; Павел Разикашвили по грузинским церковным книгам читает порядочно; поёт достаточно, пишет не худо. Протойрей Иоанн Басхаров.
1-ое, Тушино-Пшаво-Хевсуретского округа селения Квара где имеется приходу 70 дымов, по штату, положено быть одному священнику и одному причетнику. Ныне здесь состоит Священник (3 ვ) Василий Хатиев, а причетника нет.

2-ое. О просителе Павле Разикашвили в делах Экзаршеской канцелярии ни какого сведения не имеется. Правитель канцелярии (1 სიტყვა არ გაირჩევა) - Давид Чивадзе [12] .

ეს იყო პავლე რაზიკაშვილის პირველი გამოცდა, რომელიც ეგზარქოსის დავალებით ჩაუტარდა მას. ამ ცნობას ზევით აწერია "Допустить приватно". ე. ი. მან პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა და ეგზარქოს ისიდორეს ბრძანებით, იგი გამონაკლისის წესით დანიშნეს ყვარას ეკლესიის მედავითნის მოვალეობის შემსრულებლად.

შემდეგი საბუთი, უკვე 1858 წლითაა დათარიღებული, ამ წელს საქართველოს მწყემსმთავრად ახალი ეგზარქოსი ევსევი მოევლინა. მანამდე, ე. ი. 1853 წ. ნოემბრიდან, პავლე ასრულებდა სოფელ ყვარას მედავითნის მოვალეობას, მაგრამ სულ ცდილა თავის მშობლიურ ჩარგალს დაბრუნებოდა:

«Его Высокопреосвященству, Святейшего Правительственного Синода члену, Высокопреосвященнейшему Евсевию, Архиепископу Карталинскому и Кахетинскому, Экзарху Грузии и Кавалеру
Благочинного священика Цискарова.
Рапорт

Поданное мне об'явление исправляющим должность причетника при Пшавской Чаргальской Георгиевской церкви Павлом Разикашвили вместе с увольнительным от общества свидетельством, имею честь Вашему Высокопреосвященству при сем нижайше представить на Архипастырское Ваше благословление.
Благочинный священник Цискаров №184, 1 декабря 1858 г. Сел. Тионети» [13] .

ამ საბუთიდან ჩანს, რომ პავლე რაზიკაშვილი, მედავითნედ უკვე მშობლიური ჩარგლის წმ. გიორგის ეკლესიაში მსახურობს. ამასთან, საბუთში საუბარია "თემისგან განთავისუფლების ცნობაზე" ("увольнительное от общества свидетельство"), რომელიც აუცილებელი იყო სახაზინო გლეხისათვის, თუ იგი ამ წოდებას ტოვებდა. ასეთი ცნობის ნიმუში, პავლე რაზიკაშვილის საბუთებს ბოლოს ერთვის და მას შემდეგში შევეხებით.

შემდგომ წარმოდგენილია თვით პავლე რაზიკაშვილის ხელით დაწერილი განცხადება ქართულ ენაზე (მას თითქმის არსად არ უზის სასვენი ნიშნები. მარჯვნივ, აშიაზე, სიგრძეზე, ხელის მოწერაა: "პავლე რაზიკაშვილი").

"მის მაღალ კურთხევას ბლაღოჩინს ივო
ცისკაროვს
პრიჩეტნიკობის თანამდებობის აღმსრულებლ(ი)ს
ჩარგლის წმინდის გიორგის ეკლესიისა,
ფშაველთა ენის პავლე რაზიკაშვილისაგან
განცხადება

მოწერილობითა მყოფის საქართველოს ეგზარქოსისა მიტროპოლიტის ისიდორესითა ჩყნგს წელსა, მე მიშვებულ ვარ აღმსრულებლად პრიჩეტნიკობის თანამდებობისა ჩარგლის წ˜ის გიორგის ეკლესიაში სადაც ვასრულებ ამა თანამდებობას ხსენებულ წლითაგან ყოვლის ჩემის მეცადინეობითა როგორადაც უწყით თქუენცა მქონდა რა გულითადი სურვილი ყოფნისა ეკლესიის მსახურისა მივიღე ყოვლის ღონისძიებითა განათლებისათვის ჩემისა სწავლითა საღმრთო წერილისა და ეკლესიურის წიგნებისა, სასოებითა რომელ მე ვიქნე ღირსი წევრი ეკლესიისა და სასარგებლო ჩემის მამულისა, რომლისთვისაც მომცა ჩემმა თემმა კანონიერი მოწმობა [14] განთავისუფლებისათჳს ჩემისა ყოვლის ხარჯისაგან ამის თვის წარმოვადგენ რა ამასთანავე განთავისუფლების

მოწმობას უმორჩილესად გთხოვთ წარადგინოთ რა ესე მთავრობისადმი მიიღოთ შუამავლობა რომელ მიღებისათÂს ჩემისა სასულიერო წოდებაში და დამტკიცებისათვის პრიჩეტნიკის თანამდებობაში მოხსენიებულ ეკლესიაში. იქნას მოხდენილი მოწყალებითი განკარგულება რომლითაც ვიქნე შორის სხვათა მთისკაცთა მაშელნი [15] კრებული რომელზედაც ხელს ვაწერ პრიჩეტნიკი პავლე რაზიკოვი ჩყნß-ს წელსა, ნოენბრის ვთ-ს დღესა" [16] .

განცხადება, ერთგვარად მოუქნელი საკანცელარიო ენითაა დაწერილი, მაგრამ პავლე მაინც ავლენს საკუთარ ინდივიდუალობას. კერძოდ, იგი საკუთარ თავს "ფშაველთა ენას" უწოდებს. აქ "ენა", უცილობლად ტომის, ხალხის მნიშვნელობითაა ნახმარი, როგორც ეს სიტყვა ძველქართულში იხმარებოდა. ამასთან, იგი ახერხებს ოფიციალურ განცხადებაში ჩაურთოს ფრაზა იმის შესახებ, რომ სურს იყოს "ღირსი წევრი ეკლესიისა და სასარგებლო... მამულისა". და აქაც, მამულში, უეჭველად საქართველო იგულისხმება და არა ვრცელი რუსეთის იმპერია.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ბლაღოჩინ ი. ცისკარიშვილზეც, რომელიც აღნიშნული საარქივო საქმის თითქმის ყველა ფურცელზე ფიგურირებს და რომელმაც ვაჟას მამას უდიდესი წვლილი დასდო. ი. ცისკარიშვილს პავლე "ივოს" უწოდებს. მისი სახელი კი "იოვი" (იობი) იყო. სწორედ ის შეიქმნა ვაჟას პირველი ნათლია ("მიმრქმელი") და შემდეგშიც დიდი კეთილისმყოფელი. იობ ცისკარიშვილი გამორჩეული პიროვნება ყოფილა. 1847 წ. რაფიელ ერისთავმა ქ. თელავში ის მარი ბროსეს წარუდგინა. ცნობილმა ქართველოლოგმა მაშინვე შეამჩნია იობის ნიჭი და მას წოვა-თუშურის გრამატიკის შედგენა სთხოვა, რაც ცისკარიშვილმა პირნათლად აასრულა. ამას გარდა, მარი ბროსემ ცისკარიშვილს სთხოვა ახალი აღთქმის თავები ეთარგმნა წოვა-თუშურად. 1851 წელს იობი საინგილოში მიავლინეს მისიონერ მღვდლად, სადაც 1170 სული ინგილო კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნა [17] .

ზევით განხილულ განცხადებაში პავლე შეცდომასაც უშვებს, როდესაც წერს, რომ თითქოს "ჩყნგ" (1853) წლიდან ჩარგლის ეკლესიის მედავითნეა. სინამდვილეში, 1853 წლიდან, როგორც ზემოთ მოტანილი საბუთები მოწმობენ, იგი ყვარას ეკლესიის მედავითნეა. ეს შეცდომა გასწორებულია ამ განცხადების შემდეგ დართულ რუსულენოვან საბუთში:

«1858 года, Декабря 9 дня; по справке оказалось: Причетник Чаргальской Георгиевской церкви Павел Разикашвили происходит из казенных крестьян, от роду имеет 30 лет, в училищах не обучался, согласно прошению его допущен к исправлению причетнической должности. 24 ноября 1853 года, перемещен к Чаргалской Георгиевской Церкви в 1855 году; судим, штрафован (7з) не был. Аттестован. Поведения хорошего, в семействе имеет жену 27 лет и сына Георгия 4-х лет. За правителя -
Д. Пурцеладзе»[18] .

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მხოლოდ ამ საბუთიდან ვიგებთ, რომ ყვარას ეკლესიიდან ჩარგლის წმ. გიორგის ეკლესიაში პავლე რაზიკაშვილი 1855 წლიდან გადაიყვანეს. ძალზე საინტერესოა ისიც, რომ პავლეს დაბადების წელი ამ საბუთის მიხედვით, 1828 წელი გამოდის (1858 წელს გამოვაკლოთ 30 წელი) და არა 1831 წელი, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული. გ. ხორნაული, მაგალითად, წერს, რომ პავლე გარდაიცვალა 1890 წ. 22 ოქტომბერს, 59 წლის ასაკში[19] . ამგვარად, ხორნაულის თანახმად, პავლე დაბადებული გამოდის 1831 წელს. სინამდვილეში, არც მიხა რაზიკაშვილის მოგონებაა შემცდარი და გაზვიადებული, როდესაც იგი პავლეს სიცოცხლის ბოლო წლებს იგონებს და წერს, რომ მისი მოგონების დროს პავლე 60 წელზე მეტის იქნებოდა. გ. ხორნაული აქ შენიშვნას ურთავს და განმარტავს, რომ მოგონების ავტორი აწარბებს, რადგან პავლე 59 წლის ასაკში გარდაიცვალა (იქვე). ზემოთმოტანილი საარქივო საბუთის მიხედვით კი, პავლე 1831 წელზე 2-3 წლით ადრე უნდა დაბადებულიყო (1828 წ.).

ამდენ ხანს პავლე მხოლოდ ბრძანებით და გამონაკლისის სახით იყო დაშვებული მედავითნედ. ახლა კი, მისი საფუძვლიანი გამოცდა გადაუწყვეტიათ და თბილისში გამოუძახებიათ. იმხანად, პავლე ავად ყოფილა და თბილისში წასვლაზე მცირე ხნით გადავადება უთხოვია. ამას კვლავ ცისკარიშვილი გვამცნობს:

«В канцелярию Экзарха Грузии
Благочинного священника Цискарова
Рапорт
В исполнение требования экзаршеской канцелярии от 10, прошлого Декабря за №3115, имею честь сим покорнейше довести, что причетник Пшавской Чаргальской Георгиевской церкви Павел Разикашвили по болезненному и от принятия лекарств слабому своему здоровью, считает ныне невозможным прибыть в Тифлис, а по выздоровлению его и получения здоровья от болезни, считаю долгом выслать его в Тифлис, для объясненной в требовании подробности.
Благочинный священник Цискаров, №12, 28 января 1859 г.»

ამ ცნობას რამდენიმე თვის შემდეგ ცისკარიშვილმა ახალი მიწერილობაც მიაყოლა:

«В канцелярию Экзарха Грузии
Благочинного священника Цискорова
Рапорт
В дополнение рапорта моего от 28 Января за №12, имею часть при сем выслать в Тифлис для испытания причетника Пшавской Чаргальской Георгиевской церкви Павла Разикашвили. №58 Апреля 1859 г. сел. Тионети. Благочинный священник - Цискаров».

ამ "რაპორტს" ორი რეზოლუცია ადევს, მელნით: "1859 Мая 15; Снестись с Губернским правлением" და ფანქრით: "Преосвященному Викарию на испытание" [20] . ძალზე საინტერესო სწორედ ის არის, რომ ეს "ვიკარი" (ქორეპისკოპოსი), ეგზარქოსის პირველი მოადგილე და გორის ეპისკოპოსი, იმხანად იყო, განთქმული გაბრიელ ქიქოძე. იგი გორის ეპისკოპოსის და საქართველოს ეგზარქოსის ქორეპისკოპოსის მოვალეობას ასრულებდა 1858 წ. 6 დეკემბრიდან - 1860 წლის 2 ივლისამდე [21] .

ასე რომ, ვაჟას მამას ბედმა გაუღიმა, როდესაც გამოსაცდელად, სწორედ ქართული სულიერების ასეთ დიდ მოამაგესთან მოხვდა.

"საქმეში" დაცულია თვით გაბრიელ ეპისკოპოსის ხელით დაწერილი გამოცდის ფურცელი.

«Павел Разикашвили
В чтении: хорошо
В пении: не совсем приятно
В уставе: хорошо
В священной истории и катехизисе: очень поря¬дочно
Гав¬риил, Епископ Горииский, Вика¬рий Грузинский, исполнено 19 мая 1859 года» [22] .

როგორც ვხედავთ, პავლეს გამოცდები წარმატებით ჩაუბარებია პირადად გაბრიელ ეპისკოპოსისათვის. ის ფაქტი, რომ გზა სასულიერო წოდებაში, ვაჟას მამას, პავლე რაზიკაშვილს გაბრიელ ქიქოძემ დაულოცა, სრულიად უცნობი იყო.

პავლეს ყველაფერში კარგი ნიშნები მიუღია, მხოლოდ სიმღერა არა სცოდნია კარგად. ალბათ, ეს ნაკლი მამისგან თუ გამოჰყვა ვაჟას, რომელიც ჩივის, სიმღერას მიწუნებდნენ და მე არ ვიჯერებდიო. აი რას იგონებს ვაჟა: "საშინლად შეურაცხყოფილი დავრჩი, რომ მან (გალობის მასწავლებელმა - ვ. კ.) ჩემში არამც თუ ბასი, ტენორი, არამედ არავითარი ხმოვანება არა ჰპოვა... თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებდი, რომ მასწავლებელს, ალბათ ვეჯავრები-მეთქი, ხოლო რომ ბასი ვიყავი, ეს უეჭველად მწამდა"[23] .

ასე იყო თუ ისე, ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ სასულიერო ასპარეზზე გზა დაულოცა დიდი ვაჟას მამას.

პავლე რაზიკაშვილი ახლა უკვე საბოლოოდ ამორიცხეს სახაზინო გლეხთა სიიდან. ამავე საქმეში დაცული კიდევ რამდენიმე საბუთი, ამის შესახებ გვამცნობს:

«Тифлисского Военного Губернатора - Управляющего Гражданского частью, Губернскому правлению.
Отделение Г(осударя) И(мператора). Сто(л) 1 №14716. 21 Октября 1859 года, Тифлис.
Ваше Высокопреосвященство! Милостивый Архипастырь!

Вследствие отношения Вашего Высокопреосвященства от 19 прошлого Мая №139, имею честь уведомить, что к увольнению жителя Тионетского округа семения Чаргали казенного крестьянина Разикавшили из податного состояния, как доносит Тионетский окружной начальник, никаких (9ვ) препятствий нет, поведения он хорошо, под судом и следствием не был, от роду ему 29 лет. При этом имею честь препроводить к Вашему Высокопреосвященству увольнительное свидетельство Разикавшили.

С глубочайшим почтением и совершенною преданностью имею честь Вашего Высокопреосвященства Милостивого Архипастыря - покорнейший слуга - А. Кип...» (არ განირჩევა) [24] .

ამ ცნობას კომენტარი არ სჭირდება. აღვნიშნავთ მხოლოდ რომ 1858 წ. საბუთში, პავლე რაზიკაშვილი 30 წლისად არის მოხსენიებული, 1859 წელს კი, 29 წლისად. როგორც ჩანს აქ მექანიკურ შეცდომასთან გვაქვს საქმე.

შემდეგ საბუთში დევს ღერბიან ქაღალდზე დაწერილი ორენოვანი მოწმობა, რომელიც პავლე რაზიკაშვილის სახელმწიფო (სახაზინო) გლეხობიდან განთავისუფლებას და მასზე დაფიქსირებული მოვალეობების თემის სხვა წევრებზე გადანაწილებას შეეხება

"მოწმობა
ჩვენ ქუ(ე)მორე ამისა ჴელის მომწერნი თუშ-ფშავ-ხევსურეთის სოფელს ჩარგალ მცხოვრებთა, ფშავის ჩარგლის საზოგადოების საჴელმწიფო გლეხთა, მივეცით ესე ერთსა სოფელსა ჩუწნსა მცხოვრებსა ჩარგალსავე, პავლე გიორგის ძე რაზიკაშვილსა, მასზედ, რომელ ჩუწნ¨ პატივსადებლად მისსა სწავლისა და კეთილის თვისებისა, დავითხოვეთ იგი რაზიკაშვილი ჩუენგან¨ მისასვლელად სასულიერო წოდების სამსახურსა შ(ინ)ა, და ამასთანავე, ვიკისრეთ შესახები მისდა ყოველი საჴელმწიფო და საზოგადო ხარჯი, რაჲც იქნება მოთხოვნილი რჯულისაებრ; რომელშიაც ხელმოწერითა ჩუენითა ვამტკიცებთ, კ-ს იანვარს ჩყნჱ წელსა" [25] . (შემდეგ იგივე რუსულ ენაზე) «Свидетельство

Мы, ниже сего подписавшиеся, Тушино-Пшаво-Хевсурского округа сел. Чаргали Пшавского Чаргальского общества, Казенные крестьяне дали сия односельцу нашему, жителю сел. Чаргали Павлу Георгиеву сыну Разыкавшили в том, что мы из уважения к его грамотности и доброй нравственности, увольняем его Разикавшили из среди себя для поступления в духовное звание и вместе с тем, принимаем на себе за него все казенные подати и общественные наряды, какие будут востребованы по закону, в чем подписями своими удостоверяем. 20 января 1858 года.

* ა. ნაცვალი თისავარ ჯაშანის ძე ბაიაშვილი
* ბ. მწარია ბერიძის ძე გორზომაული
* გ. შარმაზან გიორგის ძე ბაჩიშვილი
* დ. გიორგი შარმაზანის ძე ზურაბაშვილი
* ე. გულბათი რამაზის ძე რაზიკაშვილი
* ვ. პაპუა ბერისძე გარსევანიშვილი

რადგანაც ამანთ მოხსენიებულთ კაცთა წერა არ იცოდნენ ამათის თხოვნის (11ვ) და ხელის ჩამორთმევით ვწერ ბერო ბეჭინას ძე ჟამისაშვილი.

* ზ. ჩალხო მგელა(ს) ძე შუკუკიშვილი
* ჱ. ნადირი შუილას ძე გარსევანიშვილი
  თ. ქურსიკა მირაზანის ძე შუკუკისშვილი
* ი. ბერიძე ბეროს ძე რაზიკაშვილი

რადგან ამ ზემოხსენებულთ კაცთა წერა არ იცოდნენ, ამათის თხოვნითა და ხელის ჩამორთმევითა, ხელს ვაწერ გიორგი გიორგის ძე პირქუშისშვილი.

* ია. ხელს ვაწერ ბერო ბეჭინას ძე ჟამისაშვილი
* იბ. ხელს ვაწერ გიორგი გიორგის ძე პირქუშიშვილი

«Что сие свидетельство подписано этими лицами, которые в оном значатся и дано односельцу своему Павлу Разикашвили, в том Тушино Пшаво Хевсурское Окружное управление за надежностью подписью и приложением казенной печати удостоверяет. Укр(епление) Тионеты, Марта 12 дня, 1858 года. Управляющий Тушино Пшаво-Хевсурским округом - Войсковой старшина князь Эристов» (უზის ბეჭედი) [26] .

ამ საქმის შემდგომი საბუთებიდან ირკვევა, რომ ეს ამდენი ბიუროკრატიული აჟიოტაჟი საჭირო არ ყოფილა, რადგან პავლე და მისი სოფელი საერთოდ არ შეუტანიათ 1842 წლის საგადასახადო აღწერილობათა წიგნში. მაგრამ თავისთავად საყურადღებოა სოფლის სითბო და პატივისცემა პავლე რაზიკაშვილის მიმართ, რაც ცარიელი სიტყვებით კი არა, საქმით გამოიხატა: მთელი სოფელი და თემი თავზე იღებს ყველა გადასახადს, ნატურალურსა და ფიზიკურს, რაც პავლეს ევალებოდა, რათა გზა გაუხსნას მას სასულიერო წოდებისაკენ.

საბუთს თან ერთვის მეორეც, რომელიც ამიერკავკასიის სახაზინო პალატაში იგზავნება:

«Тифлисского военного Губернатора Управляющего гражданского частию по Губерскому Правлению Отделение Г(осударя) И(мператора) стол 1, №16108
16 Ноября 1859 года.

Его Высокопреосвященству Экзарху Грузии - Евсевию. Ваше Высокопреосвященство, милостивый Архипастырь!
На отношение Вашего Высокопреосвященства, от 6 сего Ноября за №2338 имею честь уведомить, что об исключении казенного крестьянина Разика-швили из поданного состояния, в месте с сим сообщаю Закавказской Казанной Палате. С истинным почтением и совершенною преданностью имею честь быть Вашего Преосвященства Милостивого Архипастыря покорнейший слуга - А. Кип... (არ განირჩევა)». ადევს რეზოლუცია «Исполнено 25 ноября 1859 года. Благочинному священнику Цикарову №3543»[27] .

და ამ საქმის კიდევ ერთი, ბოლო საბუთი, რომელიც ოფიციალურ ბლანკზეა ნაწერი. საბუთის მარცხენა მხარეს, იგივე მეორდება რაც წინა მიმართვებში, მხოლოდ წელი და რიცხვია განსხვავებული - 1860 წლის 31 აგვისტო. მიმართავენ ეგზარქოს ევსევის:

«Ваше Высокопреосвященство, милостивый Архипастырь! По отзыву Вашего Высокопреосвященства от ноября 1859 года за №3338 бывшей военный Губернатор сносился с Закавказскою Казанною Палатою об

исключении из податного состояния, поступающего в духовное звание жителя Тушетино-Пшав-Хевсурского округа селения Чаргали, казанного крестьянина Разикашвили, на что казенная Палата от 3 июля (13 ვ) сего года за №2795 отозвалась, что так как пшавцы Гогочурского общества к которому принадлежит Разикашвили не вошли в камеральное описание 1842 года и не состоят в податном окладе, то и нет необходимости в исключении из податного состояния помянутого крестьянина Разикашвили. Доводя о сём до сведения Вашего Высокопреосвященства, в удовлетворении означенного отзыва Вашего за №3338 имею честь покорнейше принять уверение в моем совершенном почтении Вашего Высокопреосвященства покорнейший слуга» (არ განირჩევა).

ამ საბუთს ფანქრით, როგორც ჩანს, ეგზარქოს ევსევის ხელით, შემდეგი რეზოლუცია ადევს: "Нужно дать благочин(ному) предписание о принятии Разикашвили в духовное звание и утверждении в должности" [28] .

აი აქ დაესვა წერტილი პავლეს შესახებ მიწერ-მოწერას. მაგრამ "წერტილი" მისთვის მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო. ეგზარქოსმა და სინოდმა ის საბოლოოდ კანონიერად აღიარეს სასულიერო წოდების უმდაბლესი ხარისხის მატარებლად.

ამ საბუთში ის არის საინტერესო, რომ თურმე, პავლეს სოფლისა და თემის ხალხი, რატომღაც არ შეუტანიათ 1842 წლის კამერალური აღწერის წიგნში და ისინი გადასახადებსაც ტყუილად იხდიდნენ. მაგრამ სახაზინო უწყების ეს ცნობა, რა თქმა უნდა, უცნობი დარჩა პავლესა და მისი თანასოფლელებისათვის.

ქვეყნად ლუკას (ვაჟას) მოვლინებამდე კი, ჩრებოდა ერთი წელი... როდესაც ვაჟამ მამა "შეიცნო" (ე. ი. როცა ის 5-6 წლის იყო), პავლე უკვე მთავარი დიაკვანი გამხდარიყო მაღაროსკარის ეკლესიაში...

წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები:

1. გ. ხორნაული, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, თბ., 2003, გვ. 2.
2. ს. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა, დოკუმენტები და მასალები, თბ., 1937.
3. დ. ბენაშვილი, ვაჟა-ფშაველა, თბ., 1961, გვ. 50-52.
4. ვახტანგ რაზიკაშვილი, მამაჩემი ვაჟა-ფშაველა, თბ., 1961, გვ. 110.
5. გ. ხორნაული, დასახ. მონოგრაფია, გვ. 30.
6. ტექსტში წერია: "своеми".
7. სცსსა, ფონდი #448, აღწ. 1, საქმე #24968, ფურცელი 1.
8. რ. თოფჩიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს., თბ., 1994, გვ. 12.
9. ტექსტში შეცდომაა. უნდა იყოს "Гогочурского"
10. ტექსტში შეცდომითაა ნახმარი ბრუნვა "Священного Писания".
11. სცსსა, ფ. #488, საქმე 24968, ფ. 2.
12. იქვე, ფ. 3.
13. იქვე, ფ. 4.
14. ტექსტში: "მოწმონმობა".
15. გაურკვეველია რას ნიშნავს "მაშელნი". შესაძლოა უნდა იყოს "მაშველნი".
16. სცსსა, ფ. #488, საქმე 24968, ფ. 5.
17. კ. ჭრელაშვილი, კავკასიოლოგიის სათავეებთან, "ახალი ეპოქის" დამატება "ჩვენი მწერლობა", 2002 წ. 1-8 თებერვალი; აგრეთვე კ. ჭრელაშვილი ვაჟა-ფშაველას "მიმრქმელი", "ლიტერატურული საქართველო", 1988, 19 აგვისტო.
18. სცსსა, ფ. #488, საქმე 24968, ფ. 7.
19. გ. ხორნაული, დასახ. წიგნი, გვ. 31.
20 სცსსა, ფ. #488, საქმე 24968, ფ. 8-9.
21. მელიტონ კელენჯერიძე, გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, თბ., 1913, გვ. 88-90.
22. სცსსა, ფ. #488, საქმე 24968, ფ. 10.
23. ვაჟა-ფშაველა, რჩეული თხზულებანი, თბ., 1955, გვ. 329.
24. სცსსა, დასახ. ფონდი, საქმე 29968, ფ. 9-10ვ (ფრჩხილებში აღდგენა აქ და ქვემოთ ჩვენია - ვ. კ.).
25. იქვე, ფ. 11.
26. იქვე.
27. იქვე, ფ. 12.
28. იქვე, ფ. 13.

Vazha Kiknadze

Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology

The New Archive Data from the Family Biography of Vazha- Pshavela

(Pavle Razikashvili)

Summary

The archive documents concerning the biography of a great Georgian poet Vazha-Pshavela's father- Pavle Razikashvili are discussed in the article.

Mentioned documents are kept in the funds of the office of Exarchs of Georgia. All of them are published and analyzed at the first time in the article.

Most of the analyzed 15 documents are in Russian and only two of them are in Georgian.

The unique sources give us opportunity to elucidate many unknown details from the early period of the biography of Pavle Razikashvili. For example: it comes clear how this selfeducated person had been enabled to occupy the position of psalmchanter in Kvara's church (1853) and then in his native village Chargali (1855).

It comes clear that the role of priest Iow Tsiskarishvili was great in the career of Pavle Razikashvili. Iow Tsiskarishvili was quite educated person who was in friendly terms with famous kartvelologist Mari Brosset. Later on, I. Tsiskarishvili became the Godfather of Vazha-Pshavela.

According to the published documents Pavle Razikashvili's first examiner was the greatest Georgian ecclesiastical figure bishop Gabriel Kikodze. At that time Gabriel occupied the position of bishop of Gori and the first vicar of Exarch of Georgia (By the decision of Synod of the Church of Georgia Gabriel Kikodze was reckoned among the saints in 1995). Pavle was examined in chanting, kathexisis, history of church, reading of prayer book etc.

Thus, one can conclude that bishop Gabriel blessed Pavle Razikashvili's way in clergy circle.